საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბედია

ბედია, ისტორიული დასახლება დას. საქართველოში, წერილობით წყაროებში მოხსენიებულია XI ს-ში ლეონტი მროველთან და „მატიანე ქართლისაში“.

ლეონტი მროველი ბ-ს ქ. ეგრისთან აიგივებდა და დას. საქართველოს ძვ. ცენტრად მიიჩნევდა. XI–XVII სს-ში ბ. ბედიის საეპისკოპოსოს ცენტრს წარმოადგენდა. ბ. „კორენბედიის“ ანუ შუა ბედიის სახელწოდებით აღნიშნულია XIV–XV სს. საზღვაო რუკებზე.

დღეს ბ. რამდენიმე სოფლად არის დაყოფილი. ბედიის ცნობილი ტაძარი აგუბედიაში (ოჩამჩირის მუნიციპ.) დგას.

თ. ბერაძე